ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N4

დაბა ქედა 23 აპრილი, 2024 წელი.

სხდომა დაიწყო 12:30 საათზე.
სხდომა დამთავრდა 13:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ჯემალ დავითაძე - კომისიის წევრი;
მინდია არძენაძე- კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი - აიშე თებიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

23.04.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
5	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
6	ჯემალ დავითაძე	კომისიის წევრი	
7	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	
8	მინდია არძენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება-ში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.**

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების
დირექტორი: აიშე თებიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2024 წლის 11 აპრილს საკრებულოში შემოვიდა (განცხადების ნომერი N:06/95241022-95 განცხადების თარიღი 11.04.2024) 2023 წლის მდგომარეობით ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება-ში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორმა აიშე თებიძემ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია წარადგინა შემდეგი სახით:

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება 2023 წლისთვის აერთიანებდა 15 ბაგა-ბაღს, აქედან ორი საბავშვო ბაღის დაბა ქედის #2 და დანდალოს ბაგა-ბაღის მუშაობა იყო შეჩერებული. დაბა ქედის #2 ბაღში მუშაობა შეჩერდა სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, ხოლო დანდალოს ბაგა-ბაღს უტარდებოდა რეაბილიტაცია, ამ ეტაპისათვის რეაბილიტაციის პროცესი დასრულებულია და ბაღში საგანმანათლებლო პროცესი განახლდა.

2023 წელს ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებში დარეგისტრირებულ აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენდა 522 ბავშვს.

ორგანიზაციაში 2023 წელს იყო 219 საშტატო ერთეული და დასაქმებული იყო 252 თანამშრომელი და 18,5 შტატგარეშე ხელშეკრულებით სადაც დასაქმებულია 20 თანამშრომელი.

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 2,967.000.00 ლარს, ხარჯვა 2,860,216,03

აქედან

- შრომის ანაზღაურებისთვის 2,070.060,00 ლარი, გახარჯული 2,059,840,71 ლარი.
- საქონელი და მომსახურების ხარჯებისათვს გათვალისწინებული 729,500,00 ლარიდან გახარჯული არის 647,083,92 ლარი.
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურება 134,950,00 ხარჯი- 132,652,11
- მივლინება ქვეყნის შიგნით 1,800,00 ლარიდან გახარჯულია 1,308,00ლარი.
- ოფისის ხარჯები 288,610,00 ლარიდან გახარჯულია 239,394,60 ლარი
- კვების პროდუქტების ხარჯებისათვის 240,000,00 ლარი, გახარჯულია 225,081,91 ლარი.
- სამედიცინო ხარჯები 2,600,00 ლარიდან გახარჯულია1,711,56 ლარი
- კომუნალური ხარჯები 147,190,00 ლარი, ათვისებული არის 124,397,01 ლარი;
- კავშირგაბმულობის ხარჯი 14,640,00 ლარიდან ათვისებულია 13932,19 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 5,400,00 ათვისებულია 3,585,60

- ტრანსპორტის, ტექნიკასა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები21,700,00 გახარჯულა 16,348,61 ლარი
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 34,440,00 გახარჯულია 11,445,35 ლარი
- სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებში 17,540,00 ლარიდან გახარჯული არის 11,445,35 ლარი.
- სხვა ხარჯები 5,400,00 ათვისებულია 3,559,30 ლარი
- არა ფინანსური აქტივებისთვის გათვლილი 144,500,00 ლარიდან ათვისებულია 138,286,75 ლარი, (54000 ლარით შევიძინეთ სატრანსპორტო საშუალება).

გაერთიანება მომსახურეობის და სხვა საქონლის შესყიდვას აწარმოებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის სრული დაცვით. ბაგა-ბაღის გამართული მუშაობისათვის ტარდება ტენდერები სხვადასხვა სახის საქონლის შესაძენად, ასევე შესყიდვა ხდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით და კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებითაც.

ბაღებში მოწესრიგებულია კვების პროცესი, ბაღებს მენიუ მიეწოდება ათ სამუშაო დღეში ერთხელ. მეწარმეებს კვების პროდუქტები ბაღებში შეაქვთ მოთხოვნის შესაბამისად. ბაღებში დანერგილია ჰასპის პროგრამა რომლის შესაბამისად ხდება საკვები პროდუქტების მიღება, დასაწყობება, დამუშავება და მომზადება.

ასევე ბაღებში დიდი ყურადღება ექცევა და კონტროლდება სანიტარულ-ჰიგიენური პირობები,

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ძირითადი მიმართულება არის ბავშვთა აღზრდა განათლება, ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ინტელექტუალური განვითარება.

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებას აქვს დამტკიცებული სასწავლო სააღმზრდელო პროგრამა და სასკოლო მზაობის პროგრამა, 2023 წელს კი დავნერგეთ ახალი კურიკულუმი თამაში, რომელიც, გულისხმობს ბავშვის აღზრდა-განათლებას თანამედროვე მიდგომებით. გაერთიანება აქტიურად მუშაობს აღმზრდელ მასწავლებელთა პროფესიულ ზრდაზე ამ მიზნით ორგანიზდება და ტარდება ტრენინგები, ბაღის საგანმანათლებლო პერსონალმა გაიარა აღმზრდელ მასწავლებლის გადამზადების 66 საათიანი ტრენინგ- მოდული.

2023 წელს დასრულდა განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული პროექტი პრაქტიკაში მხარდაჭერა-ქოუჩინგი, რომლის ფარგლებშიც თანამედროვე სტანდარტებისა და ახალი კურიკულუმის შესაბამისად მოეწყო ერთი ბაღის საგანმანათლებლო სივრცეები და საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება ახალი კურიკულუმის შესაბამისად. აღნიშნული მიდგომები დანარჩენ ბაღებში დანერგა ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებამ.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში დაიწყო სკოლამდელი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის მოსამზადებელი პროცესი. ამ მიზნით 2022 წელს განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების რეგისტრაცია ერთიან სისტემაში, ხოლო 2023 წელში განხორციელდა ბაღების თვითშეფასება, რომელსაც კოორდინაციას უწევდა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ დანიშნული ექსპერტი.

თვითშეფასების პროცესში გამოვლინდა საკითხები, როგორიცაა: ბაღის ინფრასტრუქტურა, ადაპტირებული გარემოს შექმნა, შენობა ნაგებობების გამიჯვნა და რეგისტრაცია, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება რომლთა გამოსწორება და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა არის აუცილებელი რათა სკოლამდელმა დაწესებულებამ შეძლოს ავტორიზაციის გავლა.

დღეის მდგომარეობით ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 15 ბაგა-ბაღიდან შეუფერხებლად მუშაობს 14 ბაგა-ბაღი.

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების " 2023 წლის მუშაობის შესახებ ინფორმაცია მოსმენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:00 საათზე დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ციური ზაქარაძე
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში